

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს “ინსტა”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს “ინსტა“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	8
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	10
1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	19
4. ძირითადი საშუალებები	20
5. საინვესტიციო ქონება.....	21
6. არამატერიალური აქტივები	22
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
8. მარაგები.....	23
9. გაცემული ავანსები.....	24
10. გაცემული სესხები	24
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	24
12. კაპიტალი	24
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
14. მიღებული ავანსები	25
15. გასაცემი დივიდენდი	25
16. ამონაგები.....	25
17. რეალიზაციის თვითღირებულება	25
18. რეალიზაციის ხარჯი	25
19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	26
20. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).....	26
21. წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ვაჭრობიდან და გადაფასებიდან.....	26
22. მოგების გადასახადი.....	26
23. პირობითი ვალდებულებები.....	27
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
25. ფინანსური რისკების მართვა.....	29
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ინსტა“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ინსტა“-ს (შემდეგში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნა განმარტავს, რომ ჯგუფმა გასცა სესხები დაკავშირებული მხარეზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-9) მოთხოვნების შესაბამისად, სესხები უნდა იყოს შეფასებული რეალური ღირებულებით. ჯგუფმა ვერ განვსაზღვრა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები დაკავშირებული მხარეების სესხების სამართლიანი ღირებულების დასადგენად ფასს 9-ის შესაბამისად, ჯუფისთვის შესაბამისი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამის და სანდო ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომის გამო, ჩვენ ვერ შევძელით ზუსტად დაგვედგინა გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთები, ვერც შესაბამისად სესხების საბაზრო ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი. აღნიშნული გარემოების არსებობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე მისი შესაძლო ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ინსტა“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ინსტა“-ს (შემდეგში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნა განმარტავს, რომ ჯგუფმა გასცა სესხები დაკავშირებული მხარეზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-9) მოთხოვნების შესაბამისად, სესხები უნდა იყოს შეფასებული რეალური ღირებულებით. ჯგუფმა ვერ განვსაზღვრა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები დაკავშირებული მხარეების სესხების სამართლიანი ღირებულების დასადგენად ფასს 9-ის შესაბამისად, ჯგუფისთვის შესაბამისი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამის და სანდო ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომის გამო, ჩვენ ვერ შევძელით ზუსტად დაგვედგინა გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთები, ვერც შესაბამისად სესხების საბაზრო ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი. აღნიშნული გარემოების არსებობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე მისი შესაძლო ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2023 წლის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას.

მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა ჯგუფის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 27 სექტემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის 2023 წლის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას.

მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა ჯგუფის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 27 სექტემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს : ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

შპს “ინსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სექტემბერი 27, 2024

შპს არესემ საქართველო

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა

(Reg. # SARAS-A-577214)

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სექტემბერი 27, 2024

შპს არესემ საქართველო

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა

(Reg. # SARAS-A-577214)

Rsm Georgia


შპს “ინსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12,945,222	12,422,460
საინვესტიციო ქონება	5	1,663,377	3,144,867
არამატერიალური აქტივები	6	193,858	75,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	-	480,294
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,802,457	16,122,682
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	11,734,556	13,110,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,678,914	2,325,879
გაცემული ავანსები	9	549,751	2,663,017
გაცემული სესხები	10	1,218,756	
საგადასახადო აქტივი		-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	1,477,165	822,878
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,659,142	18,922,242
სულ აქტივები		35,461,599	35,044,924
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	14,366	14,366
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4	3,882,621	3,769,716
გაუნაწილებელი მოგება	12	28,899,367	25,856,394
სულ კაპიტალი		32,796,354	29,640,476
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	895,188	1,278,977
მიღებული ავანსები	14	1,209,027	3,536,707
გასაცემი დივიდენდი	15	510,699	394,909
მიღებული სესხები		-	125,296
საგადასახადო ვალდებულება		50,331	68,559
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,665,245	5,404,448
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		35,461,599	35,044,924

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი
ბუღალტერი

გიორგი ბახსოლიანი

კობა ქაფიანიძე

შპს “ინსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	12,945,222	12,422,460
საინვესტიციო ქონება	5	1,663,377	3,144,867
არამატერიალური აქტივები	6	193,858	75,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	-	480,294
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,802,457	16,122,682
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	11,734,556	13,110,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,678,914	2,325,879
გაცემული ავანსები	9	549,751	2,663,017
გაცემული სესხები	10	1,218,756	-
საგადასახადო აქტივი		-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	1,477,165	822,878
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,659,142	18,922,242
სულ აქტივები		35,461,599	35,044,924
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	14,366	14,366
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4	3,882,621	3,769,716
გაუნაწილებელი მოგება	12	28,899,367	25,856,394
სულ კაპიტალი		32,796,354	29,640,476
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	895,188	1,278,977
მიღებული ავანსები	14	1,209,027	3,536,707
გასაცემი დივიდენდი	15	510,699	394,909
მიღებული სესხები		-	125,296
საგადასახადო ვალდებულება		50,331	68,559
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,665,245	5,404,448
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		35,461,599	35,044,924

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი


გიორგი ბახოლიანი

მთავარი
ბუღალტერი


კობა ქაფიანიძე

შპს “ინსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	28,156,470	19,683,834
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(21,038,579)	(12,876,145)
საერთო მოგება		7,117,891	6,807,689
რეალიზაციის ხარჯი	18	(186,945)	(233,866)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(3,404,471)	(4,299,764)
უიმედო მოთხოვნების აღდგენა/(ხარჯი)	7-9	1,289,772	(994,292)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		4 816 247	1,279,767
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	20	(634,021)	1,488,510
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	5	-	351,237
ფინანსური ხარჯი		(54,751)	(22,582)
საკუროს სხვაობის წმინდა შედეგი		(4,546)	(1,012,444)
მოგება დაბეგვრამდე		4,122,929	2,084,488
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(79,956)	(103,096)
წლის წმინდა მოგება		4,042,973	1,981,392
<i>სხვა სრული შემოსავალი:</i>			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის ცვლილება		112,905	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,155,878	1,981,392

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი
ბუღალტერი

გიორგი ბახსოლიანი

კობა ქაფიანიძე

შპს “ინსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	28,156,470	19,683,834
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(21,038,579)	(12,876,145)
საერთო მოგება		7,117,891	6,807,689
რეალიზაციის ხარჯი	18	(186,945)	(233,866)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(3,404,471)	(4,299,764)
უიმედო მოთხოვნების აღდგენა/(ხარჯი)	7-9	1,289,772	(994,292)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		4 816 247	1,279,767
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	20	(634,021)	1,488,510
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	5	-	351,237
ფინანსური ხარჯი		(54,751)	(22,582)
საკუროსო სხვაობის წმინდა შედეგი		(4,546)	(1,012,444)
მოგება დაბეგვრამდე		4,122,929	2,084,488
მოგების გადასახადის ხარჯი	21	(79,956)	(103,096)
წლის წმინდა მოგება		4,042,973	1,981,392
სხვა სრული შემოსავალი:			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის ცვლილება		112,905	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,155,878	1,981,392

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი


გიორგი ბახსოლიანი

მთავარი
ბუღალტერი


ზობა ქაფიანიძე

შპს “ინსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	14,366	23,893,158	3,769,716	27,677,240
წლის შედეგი		-	1,981,392	-	1,981,392
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,981,392	-	1,981,392
გამოცხადებული დივიდენდი		-	(18,156)	-	(18,156)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	14,366	25,856,394	3,769,716	29,640,476
წლის შედეგი		-	4,042,973	112,905	4,155,878
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	4,042,973	112,905	4,155,878
გამოცხადებული დივიდენდი		-	(1,000,000)	-	(1,000,000)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	14,366	28,899,367	3,882,621	32,796,354

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი
ბუღალტერი

გიორგი ბახსოლიანი

კობა ქაფიანიძე

შპს “ინსტა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	14,366	23,893,158	3,769,716	27,677,240
წლის შედეგი		-	1,981,392	-	1,981,392
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,981,392	-	1,981,392
გამოცხადებული დივიდენდი		-	(18,156)	-	(18,156)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	14,366	25,856,394	3,769,716	29,640,476
წლის შედეგი		-	4,042,973	112,905	4,155,878
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	4,042,973	112,905	4,155,878
გამოცხადებული დივიდენდი		-	(1,000,000)	-	(1,000,000)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	14,366	28,899,367	3,882,621	32,796,354

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი


გიორგი ბახსოლიანი

მთავარი
ბუღალტერი


კობა ქაფიანიძე

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		18,362,266	22,593,295
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,324	63,298
მიღებული ავანსები		10,745,128	2,721,183
მომწოდებლისგან დაბრუნებული თანხები		1,366	142,000
თანამშრომლებისგან დაბრუნებული თანხები		554,588	1,021,570
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		29,668,672	26,541,346
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(17,146,075)	(17,130,917)
კლიენტისთვის დაბრუნებული თანხები		(11,949)	(555,076)
შრომის ანაზღაურება		(4,512,399)	(3,405,941)
გადახდილი გადასახადები		(5,533,662)	(4,777,581)
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები		(563,346)	(1,213,276)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(84,787)	(723,344)
კომუნიკაციის ხარჯები		(60,640)	(24,657)
ბანკის ხარჯები		(55,931)	(62,468)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,699,883	(1,351,914)
საინვესტიციო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		1,206,844	1,180,509
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		(34,461)	-
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		1,172,383	1,180,509
საფინანსო საქმიანობა			
მიღებული სესხები		778,492	1,128,382
გადახდილი სესხები		(953,160)	(1,003,086)
გადახდილი პროცენტი		(54,752)	(11,247)
გაცემული სესხები		(1,142,777)	(65,000)
გაცემული სესხების ძირის მიღება		15,000	65,000
მიღებული პროცენტები		-	3,193
დივიდენდის გადახდა	12	(830,000)	(555,000)
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(2,187,197)	(437,758)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) წლის განმავლობაში		685,069	(609,163)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	21	(30,782)	(327,248)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	11	822,878	1,759,289
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	11	1,477,165	822,878

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი
ბუღალტერი

გიორგი ბახსოლიანი

კობა ქაფიანიძე

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		18,362,266	22,593,295
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,324	63,298
მიღებული ავანსები		10,745,128	2,721,183
მომწოდებლისგან დაბრუნებული თანხები		1,366	142,000
თანამშრომლებისგან დაბრუნებული თანხები		554,588	1,021,570
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		29,668,672	26,541,346
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(17,146,075)	(17,130,917)
კლიენტისთვის დაბრუნებული თანხები		(11,949)	(555,076)
შრომის ანაზღაურება		(4,512,399)	(3,405,941)
გადახდილი გადასახადები		(5,533,662)	(4,777,581)
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები		(563,346)	(1,213,276)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(84,787)	(723,344)
კომუნიკაციის ხარჯები		(60,640)	(24,657)
ბანკის ხარჯები		(55,931)	(62,468)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,699,883	(1,351,914)
საინვესტიციო საქმიანობა			
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		1,206,844	1,180,509
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		(34,461)	-
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		1,172,383	1,180,509
საფინანსო საქმიანობა			
მიღებული სესხები		778,492	1,128,382
გადახდილი სესხები		(953,160)	(1,003,086)
გადახდილი პროცენტი		(54,752)	(11,247)
გაცემული სესხები		(1,142,777)	(65,000)
გაცემული სესხების ძირის მიღება		15,000	65,000
მიღებული პროცენტები		-	3,193
დივიდენდის გადახდა	12	(830,000)	(555,000)
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(2,187,197)	(437,758)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/(გასვლა) წლის განმავლობაში		685,069	(609,163)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	21	(30,782)	(327,248)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	11	822,878	1,759,289
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	11	1,477,165	822,878


2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი


გიორგი ბახოლიანი

მთავარი

ბუღალტერი


კობა ქაჭიანიძე

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

1. ზოგადი ინფორმაცია

a) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ინსტა“ (შემდგომში – ჯგუფი), საიდენტიფიკაციო ნომრით 202057264 დარეგისტრირებულია 1998 წლის 9 თებერვალს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად. ჯგუფის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაქარიაძის ქ. N8.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს: „ინსტა“-ის 100%-ის მფლობელია გიორგი ბახსოლიანი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ინსტა“ ფლობს შემდეგი შვილობილი საწარმოს 100%-იან წილს:

- შპს „დილაითი“ ს/კ 205038403.

შვილობილი ჯგუფი თავის მხრივ ფლობს 100%-იან წილს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- "შპს „პოლიეთილენში“ ს/კ 208155191.

ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები ერთობლივად მოიხსენიება როგორც "ჯგუფი". დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ტრანზაქციები განხილულია შენიშვნა 23-ში.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, ჯგუფი მეორე კატეგორიის საწარმოს წარმოადგენს.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ელექტრო სისტემების პროექტირება და სრული ელექტრო გადაწყვეტილებები. სამონტაჟო და საპროექტო სამუშაოები, დენის და კონტროლის ფარების წარმოება, ელექტროსამონტაჟო საქონლის საცალო და საბითუმო გაყიდვები.

ამ ანგარიშის გაცემის მომენტისთვის ჯგუფის დირექტორი გიორგი ბახსოლიანია.

b) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიხედვითაც მომზადდა მის ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფასს სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

მცირე და საშუალო ზომის სუბიექტები არიან სუბიექტები, რომლებსაც:

ა) არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშვალდებულება და;

ბ) არ ევალებათ გარე მომხმარებლებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება.

გარე მომხმარებლების მაგალითები მოიცავს მფლობელებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი ბიზნესის მართვაში, არსებულ და პოტენციურ კრედიტორებს და საკრედიტო რეიტინგის სააგენტოებს.

ერთეულს აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, თუ:

- ა) მისი სავალო ან კაპიტალის ინსტრუმენტებით ვაჭრობა ხდება საჯარო ბაზარზე ან ის ამ ინსტრუმენტების გამოშვების პროცესშია საჯარო ბაზარზე ვაჭრობისთვის (საშინაო ან უცხოური საფონდო ბირჟა ან საფონდო ბაზარი, ადგილობრივი და რეგიონული ბაზრების ჩათვლით.); ან

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ბ) ის ფლობს აქტივებს აუტსაიდერთა ფართო ჯგუფისთვის, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი ბიზნესი (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, ფასიანი ქაღალდების ბროკერების/დილერების, ურთიერთდახმარების ფონდების და საინვესტიციო ბანკების უმეტესობა დააკმაყოფილებს ამ მეორე კრიტერიუმს).

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

გამოყენებული შეფასების საფუძველია ისტორიული ღირებულების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებას და სხვა ყოვლისმომცველ შემოსავლებს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებას და შენიშვნებს. შემოსავალი და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი აღიარებულია მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლებსა და ხარჯებს (რეკლასიფიკაციის კორექტირების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ამას მოითხოვს ან ნებადართულია მცირე და საშუალო ბიზნესის ფასს-ით. რეკლასიფიკაციის კორექტირება არის მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში რეკლასიფიცირებული თანხები, რომლებიც აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში მიმდინარე ან წინა პერიოდებში. გარიგებები ჯგუფის მფლობელებთან მათი მფლობელების რანგში აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ჯგუფი წარმოგიდგენთ მოგებასა და ზარალს ხარჯების ფუნქციის მიხედვით კლასიფიკაციის გამოყენებით. ჯგუფის მიაჩნია, რომ ეს მეთოდი უფრო სასარგებლო ინფორმაციას აწვდის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მკითხველებს, რადგან ის უკეთ ასახავს ოპერაციების წარმართვას ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/არამიმდინარე განსხვავებას.

კონსოლიდაციის საფუძველები

შვილობილი კომპანია ეწოდება იმ საწარმოს, სადაც მშობელ კომპანიას გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-გუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შემენის აღსარიცხავად გამოიყენება შემენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შიდა ჯგუფური ოპერაციები, ნაშთები და არარეალიზებული მოგება ჯგუფს შიგნით ელიმინირდება. არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირდება მანამ სანამ შესაძლებელია ხარჯების დაქვითვა. მშობელი კომპანია და შვილობილი კომპანია იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას.

ფუნქციონალური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა. ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით იმ თარიღით, როდესაც ტრანზაქცია პირველად კვალიფიცირდება აღიარებისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფის ექნება შესაძლებლობა განაგრძოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება ექვი შეიტანოს ჯგუფის შესაძლებლობებზე, განაგრძოს საქმიანობა უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საქმიანობის პრინციპის საფუძველზე.

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარებისას, ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, ისევე როგორც ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის ადგილზე მიტანასთან და მდგომარეობასთან, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მას შეეძლოს იმუშაოს მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული წესით.

ღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტის გადასახდელებით, გამოქვითვადი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როდესაც ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო ვადა, ისინი აღირიცხება ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ჯგუფი აღრიცხავს ძირითადი საშუალებების ცალკეულ კლასებს, როგორც ღირებულების, ასევე გადაფასების მოდელების მიხედვით

2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კანონის მოქმედების შემდეგ არ იქნება აღიარებული. სამემოსავლო გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილებით, არ იქნება აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დღგ-სთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. გადაწყვეტილების მიხედვით, მყიდველისგან წინასწარ მიღებული თანხის ოდენობა უნდა დაექვემდებაროს დღგ-ს. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან.

მიმდინარე და წინა საანგარიშო წლებში ჯგუფმა გაანაწილა დივიდენდები და გადაიხადა სამემოსავლო გადასახადი, რომელიც შეადგინა შესაბამისად 79,956 და 103,096 ლარი.

23. პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფის დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს საბანკო გარანტიებს სს „საქართველოს ბანკთან“, რომლებიც მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, საბანკო გარანტიები აღებულია კლიენტებისგან მიღებულ ავანსებთან მიმართებაში ვალდებულებების უზრუნველსაყოფად:

ხელშეკრულების ნომერი	ვალუტა	თანხა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
ADV1007342-22	დოლარი	100,000	27-ივნ-2022	24-აგვ-2024
ADV1046207-23	ლარი	11,221	08-ივნ-2022	31-დეკ-2023

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს საბანკო გარანტიებს სს „საქართველოს ბანკთან“, რომლებიც მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, საბანკო გარანტიები აღებულია კლიენტებისგან მიღებულ ავანსებთან მიმართებაში ვალდებულებების უზრუნველსაყოფად:

ხელშეკრულების ნომერი	ვალუტა	თანხა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
PE22092345-21	დოლარი	10,673	22-ივნ-2021	30-აგვ-2023
ADV1007342-22	დოლარი	400,000	27-ივლ-2022	24-აგვ-2023
ADV1022922-22	დოლარი	227,420	10-ნოვ-2022	10-თებ-2023

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის არ გააჩნია რაიმე გაუთვალისწინებელი და მატერიალური ვალდებულება, გარდა ზემოთ მოცემულ ცხრილში.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;

ან

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად

მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ნაშთები:**31 დეკემბერი 2023****31 დეკემბერი 2022**

სავაჭრო მოთხოვნები

533,036

439,956

გაცემული სესხები

1,218,756

-

გასაცემი დივიდენდი

510,699

394,909

მენეჯმენტის ანაზღაურება:

2023**2022****ხელფასი, ბონუსი და სხვა სარგებელი**

165,959

116,905

ზემოაღნიშნული ტრანზაქციები განხორციელდა იმავე პირობებით, როგორც ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებთან.

სხვა ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 საანგარიშო წლებში არ იყო მატერიალური.

25. ფინანსური რისკების მართვა**(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. ჯგუფმა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

სამართლიანი ღირებულებები კატეგორიზებულია სხვადასხვა დონეზე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია შეფასების მონაცემები და მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების მონაცემების მნიშვნელობა:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მიახლოებითია მათი საბალანსო ღირებულებასთან.

(ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფი ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ ჯგუფის არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,477,165	822,878
სავაჭრო მოთხოვნები	5,678,914	2,806,173

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

გაცემული სესხები	1,218,756	-
სულ ფინანსური აქტივები	7,156,079	3,629,051
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	895,188	1,278,977
გასაცემი დივიდენდი	510,699	394,909
საგადასახადო ვალდებულება	50,331	68,559
მიღებული სესხები	-	125,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,456,218	1,867,741

ჯგუფის რისკების მართვა

ჯგუფის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის ჩამოყალიბებაზე და მის კონტროლზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა შექმნილია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, რისკების შესაბამისი ლიმიტებისა და კონტროლის დასაყენებლად და რისკების მონიტორინგისა და ლიმიტების დაცვის მიზნით. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში და ჯგუფის საქმიანობაში. ჯგუფის ოპერაციული სტრუქტურის სიმარტივის გამო, არ არის საჭირო რისკების მართვის დოკუმენტირებული პოლიტიკა.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად გადაიხადოს თანხები ვადის გასვლისას.

ჯგუფის მაქსიმალური შეხება საკრედიტო რისკებზე ზოგადად აისახება არსებული ფინანსური აქტივების ნარჩენ ღირებულებაზე საბალანსო უწყისში.

ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს დაკვირვებად მონაცემებს, რომლებიც ექცევა აქტივის მფლობელის ყურადღებას შემდეგი ზარალის მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან ვალდებულების მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორიცაა პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება;
- კრედიტორი, მოვალის ფინანსურ სირთულესთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სამართლებრივი მიზეზების გამო, ანიჭებს მოვალეს დათმობას, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ განიხილავდა;
- სავარაუდო გახდა მოვალის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ იყო ფინანსური აქტივების ჯგუფიდან სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გაზომვადი შემცირება ამ აქტივების თავდაპირველი აღიარების დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ კლება ჯერ ვერ იდენტიფიცირებულია ჯგუფის ცალკეულ ფინანსურ აქტივებთან, როგორიცაა მაგ. არახელსაყრელი ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობები ან მრეწველობის პირობების უარყოფითი ცვლილებები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,477,165	-	-	1,477,165
სავაჭრო მოთხოვნები	5,678,914	-	-	5,678,914
გაცემული სესხები	1,218,756			1,218,756
სულ ფინანსური აქტივები	8,374,835	-	-	8,374,835
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	895,188	-	-	895,188
გასაცემი დივიდენდი	510,699	-	-	510,699
საგადასახადო ვალდებულება	50,331	-	-	50,331
მიღებული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,456,218	-	-	1,456,218
ლიკვიდურობის პოზიცია	6,918,617	-	-	6,918,617

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	822,878	-	-	822,878
სავაჭრო მოთხოვნები	2,325,879	480,294	-	2,806,173
სულ ფინანსური აქტივები	3,148,757	480,294	-	3,629,051
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	1,278,977	-	-	1,278,977
გასაცემი დივიდენდი	394,909	-	-	394,909
საგადასახადო ვალდებულება	68,559	-	-	68,559
მიღებული სესხები	125,296	-	-	125,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,867,741	-	-	1,867,741
ლიკვიდურობის პოზიცია	1,281,016	480,294	-	1,761,310

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს ჯგუფის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. ჯგუფის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ვალუტის რისკის გათვალისწინებით, მენეჯმენტი განსაზღვრავს შეზღუდვას ვალუტის ზემოქმედების დონის მიხედვით და მთლიანობაში. ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკის განფენილობა იყო შემდეგი:

საკრედიტო რისკის განფენილობა 2023 და 2022 წლის მდგომარეობით წამოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

	ლარი	ევრო	დოლარი	სულ 2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	919,314	424,188	133,663	1,477,165
სავაჭრო მოთხოვნები	1,839,998	506,069	3,332,847	5,678,914
გაცემული სესხები	952,200	266,556	-	1,218,756
	2,759,312	930,257	3,466,510	8,374,835
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	557,385	96,834	240,969	895,188
	557,385	96,834	240,969	895,188
წმინდა საკრედიტო რისკის განფენილობა	2,201,927	833,422	3,225,541	7,479,647

	ლარი	ევრო	დოლარი	სულ 2022
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	283,225	128,811	410,842	822,878
სავაჭრო მოთხოვნები	2,222,671	241,566	341,936	2,806,173
	2,505,896	370,377	752,778	3,629,051
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	793,005	199,798	286,174	1,278,977
მიღებული სესხები	-	125,296	-	125,296
	793,005	325,094	286,174	1,404,273
წმინდა საკრედიტო რისკის განფენილობა	1,712,891	45,283	466,604	2,224,778

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობას საბალანსო თარიღისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებებზე, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვებით:

	2023 20%	2022 20%
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება	627 059	93,321
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება	(627 059)	(93,321)
ევროს 20%-ით გამყარება	198 202	9,057
ევროს 20%-ით გაუფასურება	(198 202)	(9,057)

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 27 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ანგარიშის გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2024 წელს ჯგუფმა გაანაწილა 373,684 ლარის დივიდენდი.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „ინსტა“ ჯგუფის მფლობელს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წილით საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: ჯგუფის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, კონსოლიდირებული მმართველობის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ ჯგუფი ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა

(Reg. # SARAS-A-577214)

2024 წლის 27 სექტემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე
შპს „ინსტა“ ჯგუფის მფლობელს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წილით საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება და საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: ჯგუფის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, კონსოლიდირებული მმართველობის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ ჯგუფი ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურტაზა

(Reg. # SARAS-A-577214)

2024 წლის 27 სექტემბერი

Rsm Georgia
[Signature]

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

შინაარსი

1. საქმიანობის მიმოხილვა	3
2. ორგანიზაციული სტრუქტურა.....	3
3. ფილიალები.....	3
4. კორპორატიული კულტურა და ადამიანური რესურსები.....	3
5. ფინანსური მაჩვენებლები.....	4
6. მისია	6
7. კვლევები.....	6
8. რისკ ფაქტორები.....	6
9. სამომავლო გეგმები.....	9

(ქართული ლარი)

1. საქმიანობის მიმოხილვა

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ელექტროტექნიკური სამუშაოების დაპროექტება-შესრულება, ელექტროგამანაწილებელი ფარების წარმოება და ელექტროსამონტაჟო მასალებით ვაჭრობა.

ჯგუფს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:

- საპროექტო სამსახური
- პროექტების მართვის სამსახური
- სუსტი დენების განყოფილება
- საოპერაციო განყოფილება
- გაყიდვების განყოფილება
- ლოჯისტიკის და შესყიდვების განყოფილება
- ელექტროგამანაწილებელი კარადების/ფარების საწარმო
- შრომის უსაფრთხოებისა და ხარისხის მართვის განყოფილება

2. ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანია დაფუძნებულია 1998 წლის თებერვალში, 100% წილის მფლობელია ფ/პ გიორგი ბახსოლიანი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ინსტა“ ფლობს შემდეგი შვილობილი საწარმოს 100%-იან წილს:

- შპს „დილაითი“ ს/კ 205038403.

შვილობილი ჯგუფი თავის მხრივ ფლობს 100%-იან წილს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- "შპს „პოლიეთილენში“ ს/კ 208155191.

3. ფილიალები

სათაო ოფისი გარდა, ჯგუფი ოპერირებს 2 მაღაზიას, საწყობს და საამწყო საამქროს. ყველა ფილიალი ქალაქ თბილისში მდებარეობს. ერთი მაღაზია ვაჭრობს მაღალ ხარისხიანი ელექტრო სამონტაჟო მასალებით, მეორე მაღაზია კი დიზაინერული სანათებით და ფურნიტურით.

ინსტას ძირითადი საქმიანობის ხერხემალი მისი ლოჯისტიკური ცენტრი და საწყობია, საიდანაც მარაგდება ყველა ობიექტი.

საამწყო საამქროში ხდება ელექტრო გამანაწილებელი და მართვის კარადების წარმოება, როგორც დიდი პროექტების ჭრილში, ისე პირადპირი დამკვეთებისთვის.

4. კორპორატიული კულტურა და ადამიანური რესურსები

ჯგუფში დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების განვითარებას და მათი პოტენციალის გამოვლენას, რაც მუდმივი განვითარებისა და სწავლების საშუალებით მიიღწევა. ჯგუფისთვის აუცილებელია თითოეულ

(ქართული ლარი)

თანამშრომელს მიეცეს თანაბარი შანსი საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენაში და ამით ხელი შეუწყოს როგორც საკუთარი თავის, ისე ჯგუფის განვითარებას.

ჯგუფი, სისტემატური ტრენინგების საშუალებით, ზრუნავს თანამშრომლების უნარებისა და კომპეტენციების გაღრმავებაზე. „ინსტა“-ს თანამშრომლები ტრენინგებს გადიან, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ისეთ წამყვან ევროპულ კომპანიებში როგორიცაა: Siemens, Phoenix Contact, Lapp Kabel, Jung, Eaton, Festo და სხვა. „ინსტა“-ში

თანამშრომლებს ეძლევათ საშუალება მიიღონ საქართველოში არსებულ უმსხვილეს კომპანიებთან და საერთაშორისო ბრენდებთან მუშაობის გამოცდილება.

ჯგუფში შერჩევის პროცესი რამოდენიმე ეტაპისგან შედგება. ვაკანტური პოზიციიდან გამომდინარე იგი მოიცავს სატელეფონო ან/და პირად გასაუბრებას, ასევე წერილობით ტესტს. კანდიდატის მოძიება ხდება როგორც LinkedIn-ის საშუალებით, ასევე სხვადასხვა დასაქმების გვერდებზე ვაკანსიის გამოცხადების გზით.

5. ფინანსური მაჩვენებლები

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2023	2022
ამონაგები	28,156,470	19,683,834
რეალიზაციის თვითღირებულება	(21,038,579)	(12,876,145)
საერთო მოგება	7,117,891	6,807,689
რეალიზაციის ხარჯი	(186,945)	(233,866)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,404,471)	(4,299,764)
უიმედო სავაჭრო მოთხოვნების და სხვა აქტივების ხარჯი	1,289,772	(994,292)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	4 816 247	1,279,767
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(634,021)	1,488,510
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	-	351,237
ფინანსური ხარჯი	(54,751)	(22,582)
საკუთრო სხვაობის წმინდა შედეგი	(4,546)	(1,012,444)
მოგება დაბეგვრამდე	4,122,929	2,084,488
მოგების გადასახადის ხარჯი	(79,956)	(103,096)
წლის წმინდა მოგება	4,042,973	1,981,392
<i>სხვა სრული შემოსავალი:</i>		
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის ცვლილება	112,905	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,155,878	1,981,392

(ქართული ლარი)

5. ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2023 31 დეკემბერი 2022

აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	12,945,222	12,422,460
საინვესტიციო ქონება	1,663,377	3,144,867
არამატერიალური აქტივები	193,858	75,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	480,294
სულ გრძელვადიანი აქტივები	14,802,457	16,122,682
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	11,734,556	13,110,468
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,678,914	2,325,879
გაცემული ავანსები	549,751	2,663,017
გაცემული სესხები	1,218,756	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,477,165	822,878
სულ მოკლევადიანი აქტივები	20,659,142	18,922,242
სულ აქტივები	35,461,599	35,044,924
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	14,366	14,366
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	3,882,621	3,769,716
გაუნაწილებელი მოგება	28,899,367	25,856,394
სულ კაპიტალი	32,796,354	29,640,476
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	895,188	1,278,977
მიღებული ავანსები	1,209,027	3,536,707
გასაცემი დივიდენდი	510,699	394,909
მიღებული სესხები	-	125,296
საგადასახადო ვალდებულება	50,331	68,559
სულ ვალდებულებები	2,665,245	5,404,448
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	35,461,599	35,044,924

(ქართული ლარი)**6. მისია**

ჯგუფის მისიაა პარტნიორებისა და კლიენტებისთვის უზრუნველყოს უსაფრთხო, ხარისხიანი და თანამედროვე ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისა და პროდუქციის მიწოდება, იყოს ახალი პრაქტიკისა და პროგრესული მიდგომების ინიციატორი, რაც ხელს შეუწყობს ჯგუფი საქმიანობის სფეროს განვითარებას საქართველოში.

ჯგუფის მიერ გამოყენებული ძირითადი მასალები და კომპონენტები წარმოებულია ისეთი წამყვანი დასავლეთ ევროპული კომპანიების მიერ, როგორებიც არიან სიმენსი, ლაპ კაბელი, ფესტო, იტონი და სხვა.

ჯგუფში ოპერირებს განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია უშუალოდ შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმებაზე.

ჯგუფი სისტემატურად ატარებს მომხმარებლებისა და დამკვეთების კმაყოფილების კვლევას, რის შედეგადაც ახდენს პროდუქტების და პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას.

ჯგუფი ასევე პერიოდულად ატარებს თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რის მიხედვითაც ცდილობს არსებული პრობლემები დაძლიოს და სამუშაო პირობები სისტემატურად გააუმჯობესოს.

7. კვლევები

ჯგუფს არ განუხორციელებია კვლევითი საქმიანობა

8. რისკ ფაქტორები

მენეჯმენტის მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც შეამცირებს რისკებს, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

ჯგუფის შემოსავლების და ზრდის ძირითადი წყარო საქართველოს სამშენებლო სფეროა. ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ როგორც დანარჩენ მსოფლიოს, ისე საქართველოს ეკონომიკას შეუქმნა პრობლემები. აღსანიშნავ რისკის ფაქტორებად რჩება სავალუტო კურსი და პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ადგილობრივ ბაზარზე. მნიშვნელოვანია ასევე საკრედიტო რისკი, რომლის შემცირებაც მენეჯმენტი სისტემატური პროცესების გაუმჯობესებით ახორციელებს.

რისკის ფაქტორს კვლავ წარმოადგენს გარკვეული სამშენებლო მასალების და შესრულებული სამუშაოების ნორმატივების და სტანდარტების არქონა ან არასათანადო შემოწმების მექანიზმები, რის გამოც ჯგუფი შესაძლებელია აღმოჩნდეს არა-თანაბარი კონკურენციის პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტი რისკი
 - სავალუტო რისკი

(ქართული ლარი)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,477,165	822,878
სავაჭრო მოთხოვნები	5,678,914	2,806,173
გაცემული სესხები	1,218,756	-
სულ ფინანსური აქტივები	7,156,079	3,629,051
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	895,188	1,278,977
გასაცემი დივიდენდი	510,699	394,909
საგადასახადო ვალდებულება	50,331	68,559
მიღებული სესხები	-	125,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,456,218	1,867,741

ჯგუფის რისკების მართვა

ჯგუფის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სისტემის ჩამოყალიბებაზე და მის კონტროლზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა შექმნილია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, რისკების შესაბამისი ლიმიტებისა და კონტროლის დასაყენებლად და რისკების მონიტორინგისა და ლიმიტების დაცვის მიზნით. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში და ჯგუფის საქმიანობაში. ჯგუფის ოპერაციული სტრუქტურის სიმარტივის გამო, არ არის საჭირო რისკების მართვის დოკუმენტირებული პოლიტიკა.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად გადაიხადოს თანხები ვადის გასვლისას.

ჯგუფის მაქსიმალური შეხება საკრედიტო რისკებზე ზოგადად აისახება არსებული ფინანსური აქტივების ნარჩენ ღირებულებაზე საბალანსო უწყისში.

ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს დაკვირვებად მონაცემებს, რომლებიც ექცევა აქტივის მფლობელის ყურადღებას შემდეგი ზარალის მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან ვალდებულების მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორცაა პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება;
- კრედიტორი, მოვალის ფინანსურ სირთულესთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სამართლებრივი მიზეზების გამო, ანიჭებს მოვალეს დათმობას, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ განიხილავდა;
- სავარაუდო გახდა მოვალის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან

(ქართული ლარი)

- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ იყო ფინანსური აქტივების ჯგუფიდან სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გაზომვადი შემცირება ამ აქტივების თავდაპირველი აღიარების დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ კლება ჯერ ვერ იდენტიფიცირებულია ჯგუფის ცალკეულ ფინანსურ აქტივებთან, როგორცაა მაგ. არახელსაყრელი ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობები ან მრეწველობის პირობების უარყოფითი ცვლილებები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,477,165	-	-	1,477,165
სავაჭრო მოთხოვნები	5,678,914	-	-	5,678,914
გაცემული სესხები	1,218,756	-	-	1,218,756
სულ ფინანსური აქტივები	8,374,835	-	-	8,374,835
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	895,188	-	-	895,188
გასაცემი დივიდენდი	510,699	-	-	510,699
საგადასახადო ვალდებულება	50,331	-	-	50,331
მიღებული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,456,218	-	-	1,456,218
ლიკვიდურობის პოზიცია	6,918,617	-	-	6,918,617

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	822,878	-	-	822,878
სავაჭრო მოთხოვნები	2,325,879	480,294	-	2,806,173
სულ ფინანსური აქტივები	3,148,757	480,294	-	3,629,051
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	1,278,977	-	-	1,278,977
გასაცემი დივიდენდი	394,909	-	-	394,909
საგადასახადო ვალდებულება	68,559	-	-	68,559
მიღებული სესხები	125,296	-	-	125,296
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,867,741	-	-	1,867,741
ლიკვიდურობის პოზიცია	1,281,016	480,294	-	1,761,310

(ქართული ლარი)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს ჯგუფის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. ჯგუფის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

9. სამომავლო გეგმები

არსებული გამოწვევების ფონზე, ინსტა კვლავაც აგრძელებს განვითარებას და აქტიურად აფართოებს განახლებადი ენერგიის მიმართულებით შეთავაზებებს. დაგეგმილია საწარმო შესაძლებლობების გაფართოება, თანამედროვე დანადგარების და პროცესების გაუმჯობესების მეშვეობით. ასევე დაგეგმილია საცალო და საბითუმო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება.

დირექტორი:

გიორგი ბახსოლიანი

(ქართული ლარი)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

9. სამომავლო გეგმები

არსებული გამოწვევების ფონზე, ინსტა კვლავაც აგრძელებს განვითარებას და აქტიურად აფართოებს განახლებადი ენერგიის მიმართულებით შეთავაზებებს. დაგეგმილია საწარმო შესაძლებლობების გაფართოება, თანამედროვე დანადგარების და პროცესების გაუმჯობესების მეშვეობით. ასევე დაგეგმილია საცალო და საბითუმო ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარება.

დირექტორი:

გიორგი ბახსოლიანი